



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ბრძანება:ბ92.92213262

თარიღი:22/11/2021

**ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 28 თებერვლის N 579/ს ბრძანებაში
ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის „ა.თ“ ქვეპუნქტისა, „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის N46 დადგენილების „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ მე-6 მუხლის მესამე პუნქტის „ა“, „ა.თ“ ქვეპუნქტების და საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

მუხლი1.შევიდეს ცვლილება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 28 თებერვლის N579/ს ბრძანების დანართში და სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობები ჩამოყალიბდეს თანდართული დანართის შესაბამისად.

მუხლი2.ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი დაევალოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსს.

მუხლი3. ბრძანება ძალაში შედის მხარის ათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

მუხლი4.ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში შემდეგ მისამართზე: გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

ჯონდო მდივნიშვილი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

